

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

და აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა	12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	20
4. ძირითადი საშუალებები	21
5. არამატერიალური აქტივები	22
6. მარაგები	22
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	23
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
10. მიღებული სესხები	24
11. ამონაგები	24
12. სხვა შემოსავალი	24
13. გამოყენებული მარაგების თვითღირებულება	24
14. სხვა საოპერაციო ხარჯები	25
15. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო	25
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)	25
17. პირობითი ვალდებულებები	25
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრის მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრის (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად წარმოდგენილია 788 970, 399 557 და 233 032 ლარით.

ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად წარმოდგენილია 14 647 254, 9 304 129 და 7 117 260 ლარით.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ სასაქონლო მატერიალურ მარაგებთან და ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის

ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

კომპანიას შენობა-ნაგებობების ნაწილი იჯარით აქვს გაცემული, რაც მსს ფასს-ის მიხედვით უნდა გაიმიჯნოს ძირითადი საშუალებების მუხლისგან და წარდგენილ იქნას საინვესტიციო ქონების მუხლში რეალური ღირებულებით ან ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით. კომპანიას არ აქვს გამიჯნული საინვესტიციო ქონება ძირითადი საშუალებებისგან და წარდგენილი საინვესტიციო ქონების კლასიფიკაციით. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება საინვესტიციო ქონებად დასაკლასიფიცირებელი შენობების ღირებულების განსაზღვრისთვის.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა რა ღირებულებით იყო საჭირო კორექტირებები წარდგენილ ძირითად საშუალებებთან, გადაფასების რეზერვთან და გაუნაწილებელ მოგებასთან, წარსადგენ საინვესტიციო ქონებასთან, ასევე ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან და ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ არის ჩატარებული წინამორბედი აუდიტორის მიერ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიისა და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიისა და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიისა და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების

ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია ან ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

კანონის შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი

მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილები (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავენ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.
- კომპანიის მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილში (საქმიანობის მიმოხილვა) ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, თანხვედნილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა და ჯგუფის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართ. 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო
30 ოქტომბერი, 2020 წელი

მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებების შესაბამისი ნაწილები (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავენ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.
- კომპანიის მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილში (საქმიანობის მიმოხილვა) ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, თანხვედნილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა და ჯგუფის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტრებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართ. 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო
30 ოქტომბერი, 2020 წელი



შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	14,647,254	9,304,129	7,117,260
არამატერიალური აქტივები	5	83,914	3,177	2,134
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,731,168	9,307,306	7,119,394
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	788,970	399,557	233,032
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,196,421	423,766	186,802
ფული და ფულის ექვივალენტები	8	46,461	49,291	79,139
სულ მიმდინარე აქტივები		2,031,852	872,614	498,973
სულ აქტივები		16,763,020	10,179,920	7,618,367
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		9,083,339	3,773,845	2,346,985
აკუმულირებული მოგება		101,112	388,084	57,782
გადაფასების რეზერვი		5,069,815	5,069,815	5,069,815
სულ კაპიტალი		14,254,266	9,231,744	7,474,582
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,343,754	798,176	143,785
მოკლევადიანი სესხები	10	165,000	150,000	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,508,754	948,176	143,785
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,763,020	10,179,920	7,618,367

ეკა ზოიძე
დირექტორი
26.10.2020

ზაზა გრიგალაშვილი
ფინანსური მენეჯერი
26.10.2020

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	14,647,254	9,304,129	7,117,260
არამატერიალური აქტივები	5	83,914	3,177	2,134
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,731,168	9,307,306	7,119,394
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	788,970	399,557	233,032
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,196,421	423,766	186,802
ფული და ფულის ექვივალენტები	8	46,461	49,291	79,139
სულ მიმდინარე აქტივები		2,031,852	872,614	498,973
სულ აქტივები		16,763,020	10,179,920	7,618,367
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		9,083,339	3,773,845	2,346,985
აკუმულირებული მოგება		101,112	388,084	57,782
გადაფასების რეზერვი		5,069,815	5,069,815	5,069,815
სულ კაპიტალი		14,254,266	9,231,744	7,474,582
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,343,754	798,176	143,785
მოკლევადიანი სესხები	10	165,000	150,000	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,508,754	948,176	143,785
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,763,020	10,179,920	7,618,367

ეკა ზოიძე
დირექტორი
26.10.2020

ზაზა გრიგალაშვილი
ფინანსური მენეჯერი
26.10.2020

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშ- ვნა	2019	2018
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	11	6,797,871	3,542,514
სხვა შემოსავალი	12	37,075	21,354
გამოყენებული მასალების ხარჯი	13	(1,250,974)	(639,089)
ხელფასის ხარჯი		(3,960,441)	(1,810,877)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(477,175)	(236,402)
სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(598,780)	(235,058)
საოპერაციო მოგება		547,576	642,442
საპროცენტო ხარჯები		(15,000)	-
საპროცენტო შემოსავლები		-	374
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ (ზარალი), ნეტო	15	(12,762)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	16	48,809	8,188
მოგება დაბეგვრამდე		568,623	651,004
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		568,623	651,004


ეკა ზოიძე
დირექტორი
26.10.2020

ზაზა გრიგალაშვილი
ფინანსური მენეჯერი
26.10.2020


შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშ- ვნა	2019	2018
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	11	6,797,871	3,542,514
სხვა შემოსავალი	12	37,075	21,354
გამოყენებული მასალების ხარჯი	13	(1,250,974)	(639,089)
ხელფასის ხარჯი		(3,960,441)	(1,810,877)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(477,175)	(236,402)
სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(598,780)	(235,058)
საოპერაციო მოგება		547,576	642,442
საპროცენტო ხარჯები		(15,000)	-
საპროცენტო შემოსავლები		-	374
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ (ზარალი), ნეტო	15	(12,762)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	16	48,809	8,188
მოგება დაბეგვრამდე		568,623	651,004
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		568,623	651,004



კაკა ზოიძე
დირექტორი
26.10.2020



ზაზა გრიგალაშვილი
ფინანსური მენეჯერი
26.10.2020

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
01.01.2018	2,346,985	57,782	5,069,815	7,474,582
წლის წმინდა მოგება		651,004		651,004
დივიდენდის გაცემა		(320,702)		(320,702)
კაპიტალის გაზრდა	1,426,860			1,426,860
31.12.2018	3,773,845	388,084	5,069,815	9,231,744
წლის წმინდა მოგება		568,623		568,623
დივიდენდის გაცემა		(855,595)		(855,595)
კაპიტალის გაზრდა	5,309,494			5,309,494
31.12.2019	9,083,339	101,112	5,069,815	14,254,266


ეკა ზოიძე
დირექტორი
26.10.2020


ზაზა გრიგალაშვილი
ფინანსური მენეჯერი
26.10.2020

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
01.01.2018	2,346,985	57,782	5,069,815	7,474,582
წლის წმინდა მოგება		651,004		651,004
დივიდენდის გაცემა		(320,702)		(320,702)
კაპიტალის გაზრდა	1,426,860			1,426,860
31.12.2018	3,773,845	388,084	5,069,815	9,231,744
წლის წმინდა მოგება		568,623		568,623
დივიდენდის გაცემა		(855,595)		(855,595)
კაპიტალის გაზრდა	5,309,494			5,309,494
31.12.2019	9,083,339	101,112	5,069,815	14,254,266


ვა ზოიძე
დირექტორი
26.10.2020


ზაზა გურიგალაშვილი
ფინანსური მენეჯერი
26.10.2020

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	568,623	651,004
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	477,175	236,402
ძ.ს.-ის გასვლა	78,519	21,099
სხვა არაფულადი (შემოსავალი)/ხარჯი	19,814	(4,580)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	12,762	-
ფინანსური ხარჯები	15,000	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,171,893	903,925
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(409,226)	(161,945)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(772,655)	(236,963)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	1,556,737	654,391
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,546,749	1,159,408
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,892,093)	(2,444,051)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(87,464)	(1,363)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5,979,557)	(2,445,414)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის ფულადი შენატანი	5,309,494	1,426,860
გადახდილი დივიდენდი	(855,595)	(320,702)
სესხის აღება	-	150,000
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	4,453,899	1,256,158
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	21,091	(29,848)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	49,291	79,139
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულზე	(23,921)	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	46,461	49,291

ეკა ზოიძე
დირექტორი
26.10.2020

ზაზა გრიგალაშვილი
ფინანსური მენეჯერი
26.10.2020

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	568,623	651,004
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	477,175	236,402
ძ.ს.-ის გასვლა	78,519	21,099
სხვა არაფულადი (შემოსავალი)/ხარჯი	19,814	(4,580)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	12,762	-
ფინანსური ხარჯები	15,000	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,171,893	903,925
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(409,226)	(161,945)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(772,655)	(236,963)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	1,556,737	654,391
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,546,749	1,159,408
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,892,093)	(2,444,051)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(87,464)	(1,363)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5,979,557)	(2,445,414)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის ფულადი შენატანი	5,309,494	1,426,860
გადახდილი დივიდენდი	(855,595)	(320,702)
სესხის აღება	-	150,000
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	4,453,899	1,256,158
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	21,091	(29,848)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	49,291	79,139
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულზე	(23,921)	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	46,461	49,291

ეკა ზოიძე
დირექტორი
26.10.2020

ზაზა გრიგალაშვილი
ფინანსური მენეჯერი
26.10.2020

1. კომპანიის აღწერა

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი დაფუძნდა 1999 წლის 1 ოქტომბერს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 248384234.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, კახაბერის ქუჩა, #36.

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრის 100%-იანი მფლობელია შპს ჰელს ქეარ გრუპი, 445489169, რომლის დამფუძნებლები არიან გოჩა ბაკურაძე, პ.ნ. 60001006511 (ფლობს ჰელს ქეარ გრუპის 50%-ს) და ეკა ზოიძე, პ.ნ. 61001046167 (ფლობს ჰელს ქეარ გრუპის ასევე 50%-ს).

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ეკა ზოიძე, პ.ნ. 61001046167.

შპს ჰელს ქეარ გრუპმა, პ.ნ. 445489169, 2017 წლის თებერვალში სახელმწიფოსგან აუქციონზე შეიძინა შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი, ს.ნ. 248384234 და გახდა მისი 100%-იანი მფლობელი. მას შემდეგ შპს ჰელს ქეარ გრუპი ახორციელებს შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრში ინვესტირებას სესხების აღების გზით სამედიცინო მომსახურებების გაფართოებისა და მათი მოცულობითი ზრდის მიზნით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებები.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი: 1 USD/GEL - 31.12.2019-2.8677; 31.12.2018-2.6766; 31.12.2017-2.5922.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით

შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და

ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც

მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

მიწისა და შენობების ჯგუფები აღრიცხულია გადაფასების მოდელით. პირველი გადაფასება გაკეთებულია 2017 წელს, მომდევნო შეფასებას საწარმო გეგმავს 2021 წელს. მანამდე შენობებს ერიცხებათ ცვეთა იმ წესით, როგორც ქვემოთაა მოცემილი.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან ან შეფასებული ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. გამოყენებული ამორტიზაციის ნორმებია:

ჯგუფი	წლიური ამორტიზაციის ნორმა
შენობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადა შეფასებულია 10 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

სამშენებლო ხელშეკრულებები - თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და დანახარჯებს აღიარებს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სადარიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან

აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

რეკლასიფიკაციები: განხორციელდა გარკვეული რეკლასიფიკაციები ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ხარჯების შესადარისობის დაცვის მიზნით.

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთი	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	შენობები და ნაგე- ბობები	ავეჯი და ინვენ- ტარი	მანქანა- დანად- გარები	ტრანს- პორტი	ნარ- გავები	სულ
გადაფასებული ან ისტორიული ღირებულება 01.01.2018	4,060,000	120,096	2,607,393	180,083	125,922	21,623	2,143	7,117,260
დამატება	240	1,512,056	80,822	751,138	18,576	79,781	1,436	2,444,049
მშენებლობიდან შენობებზე გადატანა		(711,390)	711,390					-
ინვენტარიდან დანადგარებზე გადატანა				(94,467)	94,467			-
გასვლა/დაბრუნება				(16,940)		(4,159)		(21,099)
ღირებულება 31.12.2018	4,060,240	920,762	3,399,605	819,814	238,965	97,245	3,579	9,540,210
დამატება		2,465,201	167,323	3,259,569				5,892,093
მშენებლობიდან შენობებზე გადატანა		(3,375,565)	3,375,565					-
ინვენტარიდან დანადგარებზე გადატანა				(491,018)	491,018			-
გასვლა/დაბრუნება				(78,519)				(78,519)
ღირებულება 31.12.2019	4,060,240	10,398	6,942,493	3,509,846	729,983	97,245	3,579	15,353,784
ცვეთა 2018			(134,677)	(69,468)	(28,070)	(3,868)		(236,083)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	-	-	(134,677)	(69,468)	(28,070)	(3,868)	-	(236,083)
ცვეთა 2019			(164,271)	(229,381)	(58,120)	(18,675)		(470,447)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	-	-	(298,948)	(298,849)	(86,190)	(22,543)	-	(706,530)
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2018	4,060,000	120,096	2,607,393	180,083	125,922	21,623	2,143	7,117,260
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	4,060,240	920,762	3,264,928	750,346	210,895	93,377	3,579	9,304,127
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	4,060,240	10,398	6,643,545	3,210,997	643,793	74,702	3,579	14,647,254

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

კომპანიის საკუთრებაში მყოფი მიწა და შენობები დატვირთულია იპოთეკით კომერციულ ბანკში, მაკონტროლებელი საწარმოს მიერ, ინვესტირებისთვის აღებული სესხების უზრუნველსაყოფად, უფლებრივი შეზღუდვების გარეშე.

5. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ავტომატიზ. მართვის ელექტრონული სისტემა	სხვა	სააღრიცხვო პროგრამების ლიცენზიები	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2018	-	684	1,450	2,134
შემოსვლა	-	1,363	-	1,363
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	-	2,047	1,450	3,497
შემოსვლა	80,781	-	6,683	87,464
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	80,781	2,047	8,133	90,961
ცვეთა 2018	-	(102)	(218)	(320)
ცვეთა 2019	(6,059)	(272)	(396)	(6,727)
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2018	-	684	1,450	2,134
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	-	1,945	1,232	3,177
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	74,722	1,673	7,519	83,914

6. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მედიკამენტები	405,700	82,097	35,140
თეთრეული	121,298	97,211	71,724
სათადარიგო ნაწილები	10,471	8,832	5,621
დაუმთავრებელი წარმოება	5,866	5,866	5,866
სურსათი	9,679	7,883	5,495
სამეურნეო საქონელი	43,519	18,527	30,615
ინვენტარი	76,013	54,856	29,370
საწვავი	2,507	3,824	429
სხვა მარაგები	113,917	120,461	48,772
სულ	788,970	399,557	233,032

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნა სოციალური სააგენტოს მიმართ	1,017,461	379,042	149,004
სხვა მოთხოვნები სამედიცინო მომსახურებიდან	16,011	3,000	-
მოთხოვნა თანამშრომლების მიმართ	6,124	3,897	-
გადახდილი ავანსები	138,373	32,269	30,920
სხვა მოთხოვნები	18,452	5,558	6,878
სულ	1,196,421	423,766	186,802

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შეადგენს:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	42,273	49,291	79,139
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,692	-	-
ეროვნული ვალუტა სალაროში	1,496	-	-
სულ	46,461	49,291	79,139

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეადგენს:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	1,662,701	547,027	69,199
ფინანსური იჯარის ვალდებულება	45,400	69,550	-
საგადასახადო ვალდებულებები	77,782	168	16,646
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	557,871	181,431	57,939
სულ	2,343,754	798,176	143,784

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

10. მიღებული სესხები

მიღებული სესხი წარმოადგენს დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხს:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
სესხი დაფარვის ვადით არაუმეტეს 1 წლისა ანგარიშგების თარიღიდან	150,000	150,000	-
გადასახდელი პროცენტი, ლარი	15,000	-	-
სულ	165,000	150,000	-

11. ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება:

	2019	2018
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	6,797,871	3,542,514
სულ	6,797,871	3,542,514

12. სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალი შედგება:

	2019	2018
შემოსავალი იჯარიდან	36,017	20,775
სხვა შემოსავალი	1,058	579
სულ	37,075	21,354

13. გამოყენებული მარაგების თვითღირებულება

კომპანიის გამოყენებული მარაგების თვითღირებულება შედგება:

	2019	2018
მედიკამენტები	841,016	390,811
სურსათი	233,632	160,127
საკანცელარო	26,392	13,194
სამეურნეო	75,093	34,802
საწვავი	55,798	40,155
სხვა	19,043	-
სულ	1,250,974	639,089

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენს:

	2019	2018
სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების ხარჯი	174,770	19,357
კომუნალური ხარჯები	268,155	125,261
კომუნიკაციის ხარჯი	16,171	11,268
დაცვის მომსახურების ხარჯი	16,484	1,507
სანდასუფთავების ხარჯი	17,175	9,951
სხვა	106,026	67,715
	598,780	235,059

15. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო

	2019	2018
ფულის კონვერტაციებით მიღებული ზარალი	(23,921)	-
ვალდებულებების გადაფასებით მიღებული მოგება	11,159	-
სულ	(12,762)	-

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები შეადგენს:

	2019	2018
სანქცია	-	(400)
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	19,814	4,581
მიღებული ფინანსური დახმარება	19,425	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9,570	4,007
სულ	48,809	8,188

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია მის წინააღმდეგ სასამართლო დავები და არც ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არსებობს ასეთი. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით არც ანარიცხია წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები და ნაშთები მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით განსაზღვრულ დაკავშირებულ მხარეებთან 2019 და 2018 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საქონლის/მომსახურების შეძენა:

	2019	2018
ძირ. საშუალების შეძენა - სხვა დაკავშ. საწარმო	-	2,500
საქონლის შეძენა - სხვა დაკავშ. საწარმო	-	67,562
მომსახურების შეძენა - სხვა დაკავშ. საწარმო	74,354	400
სულ	74,354	70,462

სესხის აღება:

	2019	2018
სხვა დაკავშირებული საწარმო	-	150,000
სულ	-	150,000

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:
ვალდებულებები მომსახურების მიღებიდან:

	2019	2018
სხვა დაკავშირებული საწარმოები	112,474	70,462
სულ	112,474	70,462

მიღებული სესხები:

	2019	2018
სხვა დაკავშირებული საწარმოები	165,000	150,000
სულ	165,000	150,000

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

	2019	2018
გაცემული ანაზღაურება	202,341	122,541
დაუფარავი ნაშთი პერიოდის ბოლოს	15,000	10,000

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ქონების შეძენა

ანგარიშგების თარიღიდან მისი დამტკიცების თარიღამდე კომპანიას ჯამურად შეძენილი/შექმნილი/გაუმჯობესებული აქვს ძირითადი საშუალებები (სამედიცინო აპარატურა, მოწყობილობები, შენობების რემონტი) ჯამურად დაახლოებით 1,5 მლნ ლარის ღირებულებით და ფინანსური იჯარით შეძენილი აქვს 1 ავტომობილი 161,526 ლარის ღირებულებით.

დივიდენდები და კაპიტალი

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრმა დამფუძნებელზე ანგარიშგების თარიღის შემდეგ გასცა 1,289,332 ლარი დივიდენდი. დამფუძნებელმა კაპიტალში შეიტანა 1,299,291 ლარი.

პანდემიის გავლენა

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი „COVID-19“ პანდემიად გამოაცხადა. გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოში დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო, რამაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კომპანია აკვირდება, რამდენად აისახება კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება თავის საქმიანობაზე, მომხმარებლებზე და თანამშრომლებზე და ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს სხვა და სხვა საქმიანობებზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება. კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 26 ოქტომბერს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი

მმართველობის ანგარიშგება

2019 წელი

შინაარსი:

1. საქმიანობის მიმოხილვა	4
2. საზოგადოების მართვა.....	4
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	7
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	7
5. ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები	7
6. ნარჩენების მართვა.....	7
7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	8
8. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	8
9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	10

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური და მმართველობის ანგარიშის

მომხმარებლებს

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრის“

დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

წარმოგიდგენთ შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრის“ მმართველობით ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამედიცინო საქმიანობა.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ საქმიანობის ისტორიას იწყებს 1999 წელს, როგორც სახელმწიფო საწარმო.

2017 წელს სახელმწიფომ განახორციელა კომპანიის 100 % წილის გასხვისება.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის შპს „ჰელს ქეარ გრუპი“.

კომპანიაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კონტროლი ხორციელდება შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების, პრაქტიკების და საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქ. ბათუმში.

გენერალური დირექტორი

ეკა ზოიძე

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ დაფუძნდა 1999 წლის 1 ოქტომბერს. 2011 წელს რეორგანიზაციის შედეგად მას შეერწყა შპს „რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“. შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ ფუნქციონირებს, როგორც მრავალპროფილური კლინიკა.

2. საზოგადოების მართვა

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ საქმიანობას ანხორციელებს დამტკიცებული წესდების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება.

საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხებზე როგორიცაა: წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, ფასიანი ქაღალდების გამოშვება, დირექტორის ანგარიშის დამტკიცება და სხვა.

საერთო კრება ტარდება ყოველწლიურად, არანაკლებ ერთხელ მაინც წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია ჩატარდეს რიგგარეშე საერთო კრება დირექტორატის მოთხოვნით, ან სხვა შემთხვევებში.

კლინიკა საქმიანობას წარმართავს დირექტორი დამტკიცებული სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესაბამისად.

კლინიკის თითოეულ თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება კლინიკის შინაგანაწესითა და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

კლინიკის შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.


საწარმო ექვემდებარება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ცალკეული სამედიცინო მომსახურებების განსახორციელებლად საჭირო ლიცენზირებას, ლაბორატორიის აკრედიტაციას და სხვა. სამედიცინო დაწესებულებას მიღებული აქვს შესაბამისი ნებართვები და ნებართვების დანართები სხვადასხვა სახის სამედიცინო საქმიანობის განხორციელებაში. სამედიცინო დაწესებულება აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სანებართვო-სალიცენზიო პირობებს.

ნებართვები და ნებართვის დანართები:


- სანებართვო მოწმობა N 000907 - სტაციონარული დაწესებულების ნებართვა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005232 - ფსიქიატრია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000593 - გადაუდებელი სამედიცინო დახმარება EMERGENCY;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005423 - რენიმაცია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000594- ქირურგიული პროფილის საქმიანობა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000597 - ნეიროქირურგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000598 - ინტერვენციული კარდიოლოგია;

- სანებართვო მოწმობის დანართი N000595 - ოტორინოლარინგოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000596 - ოფთალმოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000599 - დიალიზი;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005422 - გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005426 - სამეანო-ნეონატალური საქმიანობა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000600 - რადიოლოგიური საქმიანობა-კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005401 - რადიოლოგიური საქმიანობა-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005234 - ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005233 - ლაბორატორიული საქმიანობა-კლინიკური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005400 - ლაბორატორიული საქმიანობა-იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობა N 000688 - ავტორიზებული აფთიაქი;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000732 - მზა წამლის ფორმების, მათ შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების გაცემა.

ორგანიზაციული სტრუქტურა:



შემოსავლის სტრუქტურა:



მომსახურების სახეები პროფილების მიხედვით:

2018 წელი

- ფსიქიატრია;
- რენიმაცია;
- გინეკოლოგია;
- სამეანო-ნეონატალური;
- რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა;
- ბიოქიმიური დიაგნოსტიკა;
- კლინიკური დიაგნოსტიკა;
- იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა;
- აფთიაქი.

2019 წლიდან აღნიშნულ საქმიანობებს დაემატა:

- გადაუდებელი სამედიცინო დახმარება EMERGENCY;
- ქირურგია;
- ნეიროქირურგია;
- ინტერვენციული კარდიოლოგია;
- ოტორინოლარინგოლოგია;
- ოფთალმოლოგია;
- დიალიზი;
- კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ ფოკუსირებულია ბაზრის წილისა და მომგებიანობის ზრდაზე. ის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი კლინიკაა და სარგებლობს მოსახლეობის მაღალი სანდოობით.

დაფუძნების დღიდან დროის განმავლობაში, კლინიკაში ჩამოყალიბდა ადამიანების გუნდი, რომელიც იზიარებს კლინიკის განვითარების ერთიან ხედვას და ყველაფერს აკეთებს მუდმივად პროგრესირებად კლინიკად გარდასაქმნელად. კომპანიის ძირითადი ფინანსური და საწარმოო მაჩვენებლები იზრდება წლიდან წლამდე, რაც დამფუძნებლის განხორციელებული ინვესტიციების, კონკრეტული საქმიანობების გაუმჯობესებისა და განვითარების პროგრამების შედეგია.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ ფოკუსირებულია მოქალაქეების მკურნალობაზე, გამოჯანმრთელობაზე და მასთან დაკავშირებული მომსახურებების სახეებზე.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ განუხორციელებია კვლევა - ძიების სამუშაოები.

5. ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

კლინიკა მოიცავს 11 157 კვ.მ ფართის მქონე შენობას (შენობებს), სადაც განთავსებულია 266 საწოლი. კლინიკაში ფუნქციონირებს 13 დეპარტამენტი.

დასაქმებულთა რაოდენობა:

31/12/2018 - 176

31/12/2019 – 281

6. ნარჩენების მართვა

კლინიკის მთავარი ამოცანა ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, შესაბამისად კომპანია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვის საკითხებს, აღნიშნული გამოიხატება სხვადასხვა გზით, კერძოდ ერთ-ერთი შეიძლება დავასახელოთ ნარჩენების მინიმიზაციის ამოცანის გადაჭრა. ნარჩენების შემცირების ყველაზე ეფექტური გზა, პირველ რიგში არის მისი წარმოქმნის შემცირება, რასაც მრავალმხრივი უპირატესობები გააჩნია, ის ამცირებს დაბინძურებას, ზოგავს ფულს, ამცირებს გადასამუშავებელი, ნაგავსაყრელზე და ინსენატორებში განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას, იძლევა საშუალებას მაქსიმალურად იქნას პროდუქტი გამოყენებული. ამისათვის კომპანია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენისა და გახარჯვის საკითხს, მუდმივად კონტროლირდება ვადიანობა და შეძენის მიზნობრიობა. არ ხდება ზედმეტი მარაგების შექმნა და შესაბამისად, ვადაგასული საქონლის არსებობა, რაც თავიდან გვაცილებს დაბინძურების საფრთხეს. ამასთან, კლინიკაში ადგილი აქვს განსაკუთრებით საშიში ნარჩენების არსებობას, დაავადებული პაციენტების მიერ ერთჯერადი მოხმარების საგნების გაუნებელყოფის მიმართ მიმდინარეობს განსაკუთრებული მონიტორინგი, ასეთი სახის ნარჩენების თავმოყრა ხორციელდება სპეციალურ ბასრი სამედიცინო ნარჩენების შემკრებ-გამანადგურებელ კონტეინერებში.

გარემოს დაცვითი საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიხატება სხვა ისეთ მაგალითებშიც, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი თავად მომუშავე პერსონალი; მაგალითად პერიოდულად

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხდება მათი მხრიდან მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.

კომპანიაში უკვე ტრადიციად იქცა ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის გამწვანების საკითხი. უკვე განხორციელდა რამოდენიმე ასეთი პროექტი.

კლინიკაში მაქსიმალურადაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც დასტურდება სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმებებით.

7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ


2019 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

8. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

კლინიკაში მიმდინარეობს ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტის სამედიცინო დანადგარების და აღჭურვილობის შეძენა. აღნიშნული შეძენების თანხებით უზრუნველყოფა ხდება დამფუძნებლის შპს „ჰელს ქეარ გრუპის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციებით, ასევე საკუთარი შემოსავლებით.

სამედიცინო შემოსავალი 2018 წლეთან შედარებით 92 %-ით გაიზარდა:

	2019	2018	ზრდა
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	6,797,871	3,542,514	92%




ძირითადი საშუალებების ნეტო საბალანსო ღირებულება 2019 წლის ბოლოს 57 %-ით აღემატება წინა წლის ბოლოს იგივე მუხლს:

	2019	2018	ზრდა
ძირითადი საშუალებები	14,647,254	9,304,129	57%

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის



საზოგადოების 2019 წლის ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები:

$$\begin{aligned} \text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი} &= \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{2\,031\,851}{2\,508\,754} = 0,81 \\ \text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი} &= \frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{1\,242\,882}{2\,508\,754} = 0,5 \\ \text{მოგება საკუთარ კაპიტალზე} &= \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{568\,623}{14\,254\,266} = 0,04 \end{aligned}$$

2019 წლის აქტივების გამოყენების კოეფიციენტები:

$$\begin{aligned} \text{აქტივების ბრუნვა} &= \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{6\,834\,946}{16\,763\,020} = 0,41 \\ \text{ძ.ს. გამოყენების ინტენსივობა} &= \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{ძ.ს. ღირებულება}} = \frac{6\,834\,946}{14\,647\,254} = 0,47 \end{aligned}$$

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციული რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს ასევე კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა. თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა. სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევისა და რეაგირების პოლიტიკა. პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ.

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა, რამაც გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება გლობალურად. 2020 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გარკვეული გამონაკლისების გარდა ბიზნესის შეჩერების შესახებ. ასეთ გამონაკლისთა შორის არის საავადმყოფოები. ხელმძღვანელობის აზრით, ჯანმრთელობის დაცვა არის გადამწყვეტი მნიშვნელობის პანდემიის დროს და მართალია არსებობს გაურკვევლობა მისი მომავალში გავრცელების, მაგრამ საავადმყოფო არ დგას ბიზნესის შეჩერების რისკის წინაშე. ყველაზე ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაშიც კი, ის განაგრძობს მუშაობას და იქნება მხარდაჭერილი მთავრობის მიერ.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 26 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

ეკა ზოიძე

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები


კომპანიის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციული რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს ასევე კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა. თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა. სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევისა და რეაგირების პოლიტიკა. პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ.

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა, რამაც გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება გლობალურად. 2020 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გარკვეული გამოწვევების გარდა ბიზნესის შეჩერების შესახებ. ასეთ გამოწვევასთან შორის არის საავადმყოფოები. ხელმძღვანელობის აზრით, ჯანმრთელობის დაცვა არის გადამწყვეტი მნიშვნელობის პანდემიის დროს და მართალია არსებობს გაურკვევლობა მისი მომავალში გავრცელების, მაგრამ საავადმყოფო არ დგას ბიზნესის შეჩერების რისკის წინაშე. ყველაზე ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაშიც კი, ის განაგრძობს მუშაობას და იქნება მხარდაჭერილი მთავრობის მიერ.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 26 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



ეკა ზოიშვი